საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლაშა თავართქილაძის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**18**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**18**	**20**
წერის უნარი	**18**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**13**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**13**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**2**	**5**
პროფესიული აქტივობები	**5**	**5**
ქულათა ჯამი	**87**	**100**

სახელი, გვარი: გიორგი გზობავა

თარიღი: 17.07.2025 წ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„17 “ ივლისი, 2025 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 31 დეკემბრის №1/164 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ლაშა თავართქილაძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 31 დეკემბრის №1/164 განკარგულებით ჩატარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველი კანდიდატის შერჩევის პროცედურა, წარსადგენი კანდიდატის შესარჩევად.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 7 თებერვლის №1/22 განკარგულების შესაბამისად, წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით დარეგისტრირდა **ლაშა თავართქილაძე.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2025 წლის 28 აპრილს, ჩატარდა კანდიდატის - **ლაშა თავართქილაძის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „ორგანული კანონის“ 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, **ლაშა თავართქილაძე** (როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი), შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

ლაშა თავართქილაძე გამოირჩევა კომუნიკაბელურობით, პრინციპულობით, შრომისმოყვარეობით, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით, კომპეტენტურობით და მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. ამასთან, კანდიდატს აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და სამსახურეობრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, საბანკო, საბიუჯეტო ან სხვა დავალიანების გადახდა და სხვ.) იგი ასრულებს ჯეროვნად. აღსანიშნავია, რომ რეკომენდატორები და კანდიდატთან პიროვნულ თუ პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირები **ლაშა თავართქილაძის** პირად თვისებებსა და პროფესიულ საქმიანობას აფასებენ დადებითად. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ მის მიმართ დისციპლინური დევნა არ ყოფილა დაწყებული.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიკერძოებლობისადმი.

დასკვნა: ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **ლაშა თავართქილაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

კომპეტენტურობის კრიტერიუმის შემადგენელი მახასიათებლის - სამართლის ნორმების ცოდნის კუთხით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ **ლაშა თავართქილაძე** სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. გასაუბრებიდან მიღებული შთაბეჭდილების შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალის ნორმებს, საპროცესო კანონმდებლობას, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. კანდიდატი სწორად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია). **ლაშა თავართქილაძე** იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-10 ჯგუფის მსმენელი, ჯგუფში დაიკავა მე-5 ადგილი.

კანდიდატი, საჯარო მოსმენისას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს უმეტესწილად პასუხობდა სწორად, დამაჯერებლად და არგუმენტირებულად.

<u>დასკვნა:</u> კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ლაშა თავართქილაძე** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20).

<u>2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>

ლაშა თავართქილაძეს აქვს მნიშვნელოვანი პროფესიული, მათ შორის მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის თერთმეტწლიანი გამოცდილება, ამჟამად არის თბილისი სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე.

კანდიდატი სასამართლო გადაწყვეტილებების მომზადებისას ავლენს სამართლებრივი დასაბუთების უნარს და დამაჯერებლად ასაბუთებს პოზიციას. ძეუძლია ნათლად და არგუმენტირებულად გადმოსცეს თავისი აზრი, შეუსაბამოს იგი დადგენილ ფაქტებს და მიიღოს საფუძვლიანი გადაწყვეტილება თავისი შინაგანი რწმენით.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ლაშა თავართქილაძე** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20).

<u>2.3. წერის უნარი</u>

ლაშა თავართქილაძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მას გააჩნია სათანადო წერის უნარი, კანდიდატი კარგად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. აღსანიშნავია, რომ მას შეუძლია სამართლებრივი საკითხების სწორად აღქმა და მსჯელობისას აზრის თანმიმდევრულად, ნათლად გადმოცემა.

მის მიერ შედგენილ წერილობით დოკუმენტებში ნათლად და ადვილად იკითხება დოკუმენტის ძირითადი შინაარსი, სწორად იყენებს სამართლებრივ ნორმებს და სამართლებრივი ნორმების ანალიზს, რაც ამ დოკუმენტების მკითხველს საშუალებას აძლევს მარტივად აღიქვას მათში განხილული საკითხები. შესწავლილ დოკუმენტებში რაიმე მნიშვნელოვანი გრამატიკული შეცდომა, რაც გავლენას იქონიებდა დოკუმენტის შინაარსზე, ან სწორად გაგებაზე, გამოვლენილი არ ყოფილა.

<u>დასკვნა:</u> წერის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ლაშა თავართქილაძე** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20).

<u>2.4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

საჯარო მოსმენისას **ლაშა თავართქილაძე** იყო საკმაოდ მობილიზებული, მსჯელობდა არგუმენტირებულად, საკუთარ შეხედულებებს გადმოსცემდა ნათლად და გასაგებად. მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატს გააჩნია სხვისი მოსაზრების მშვიდად და მოთმინებით მოსმენის უნარი.

კანდიდატს შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის სხვადასხვა სფეროს ირგვლივ.

<u>დასკვნა:</u> ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ლაშა თავართქილაძე** უნდა შეფასდეს 13 ქულით (მაქსიმალური ქულა 15).

<u>2.5. პროფესიული თვისებები (მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში)</u>

რაც შეეხება კომპეტენტურობის კრიტერიუმის ერთ-ერთ მახასიათებელს, როგორიცაა პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში, უნდა აღინიშნოს, რომ **ლაშა თავართქილაძე** გამოირჩევა პუნქტუალურობით, შრომისმოყვარეობით, არის მიზანდასახული და პროდუქტიული, გააჩნია სამუშაო განრიგის ეფექტიანი დაგეგმვის და პრიორიტეტების სწორად განსაზღვრის უნარი, სტრესულ სიტუაციაში კარგად ართმევს თავს სამუშაოს.

კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, საკმაოდ მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი - 84,3%, უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებელი კი შეადგენს - 88,1%.

სასამართლო დარბაზში საქმის განხილვისას კანდიდატს გააჩნია პროცესის ეფექტიანი მართვის, სასამართლო სხდომის კორექტულად და თვითდაჯერებულად წარმართვის უნარი, კონფლიქტურ სიტუაციებში დაძაბულობის განეიტრალების და სხდომის მიმდინარეობისას წესრიგის უზრუნველყოფის უნარი.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ლაშა თავართქილაძე** უნდა შეფასდეს 13 ქულით (მაქსიმალური ქულა 15).

<u>2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>

ლაშა თავართქილაძეს გააჩნია სიახლის მიმართ ინტერესი და ღიაობა, მონაწილეობს პროფესიულ ტრენინგებში და მიღებულ ცოდნას თუ გამოცდილებას იყენებს პროფესიულ საქმიანობაში, აქვს თვითგანვითარების ინტერესი და შესწევს ამის უნარიც.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. ასევე, შეფასების მომენტისათვის, მის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის ან პუბლიკაციის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება.

- ლაშა თავართქილაძემ 2002 წელს გაიარა მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი კურსი და 2003 წელს ჩააბარა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ტესტური გამოცდა;
- 2003 წელს ჩააბარა პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა;
- 2006 წელს ჩააბარა ნოტარიუსობის საკვალიფიკაციო გამოცდა;
- 2006 წელს ჩააბარა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციით;
- 2007 წელს ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

<u>დასკვნა:</u> აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ლაშა თავართქილაძე** უნდა შეფასდეს 2 ქულით (მაქსიმალური ქულა 5).

<u>2.7. პროფესიული აქტივობა</u>

მოცემული კრიტერიუმებით **ლაშა თავართქილაძის** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ კანდიდატს აქვს უნარი წამოაყენოს იდეები და წინადადებები კონკრეტულ საკითხთან თუ სიახლესთან დაკავშირებით, იგი მუდმივად ცდილობს იყოს აქტიური და განვითარდეს პროფესიულად.

<u>ლაშა თავართქილაძემ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:</u>

- 2022 წლის 29 ივლისი - 1 აგვისტო, ბათუმი, იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით გამართული სემინარი - „ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფის საკითხები";
- 2022 წლის 11-12 ნოემბერი, ქ. ბორჯომი, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU), ევროკავშირის საერთო სასამართლოსა (GCEU) და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების სააპელაციო საბჭოს (EUIPO BOA) გადაწყვეტილებების საფუძველზე, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ შედგენილი კრებულის პრეზენტაცია;
- 2022 წლის 1 და 3 დეკემბერი, თბილისი, „ბიზნესის რეაბილიტაციისა და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ასოციაციის" (BRIPA) მიერ გადახდისსუნარობის რეფორმის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული პროექტის ფარგლებში, ახალი გადახდისუუნარობის კანონმდებლობის აქტუალურ საკითხებზე გამართული სამუშაო შეხვედრა;
- 2023 წლის 11-12 თებერვალი, ყვარელი, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით ერთობლივად გამართული სამუშაო შეხვედრა - „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის აღსრულების პროცესთან დაკავშირებით";
- 2023 წლის 14-16 ივლისი, კახეთი, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის" (GIAC) ორგანიზებითა და აშშ-ის კომერციული სამართლის პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით გამართული სამუშაო შეხვედრა - „ინფრასტრუქტურული პროექტებიდან წარმოქმნილი სამართლებრივი ურთიერთობების - დავების გადაწყვეტის მექანიზმების სპეციფიკა - ადგილობრივი და საერთაშორისო პერსპექტივები";
- 2024 წლის 30 ნოემბერი - 01 დეკემბერი, თბილისი, გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს (UNHCR) ტრენინგი - „ლტოლვილთა სამართალი".

<u>დასკვნა:</u> პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ლაშა თავართქილაძე** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 5).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **ლაშა თავართქილაძე** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა **87** ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელი